31

კვირა, 27 მაისი 1907 წ.

ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 114

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და სადამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდებიან და ბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს დაქცია არ ინახავს. ინახება ავტორს თვეთ მხოლოდ დიდი წერილები და ძალიან ბევრი. — წერილებით მისწერისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად შოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“

„ისარი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ

„ისარი“-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ ივნისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 3 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მანეთი მეტი.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მ. 30 კ. ტფილისს გარედ—4 მ. 80 კ., საზღვარ-გარედ—7 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75, ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მ. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი. სხვა ადგილას—ორი აბაზი.

გულდამწვარი მშობლები **იუსტინე ირაკლის ძე** და **ნინო მაქსიმეს ასული აბულაძენი** უზომო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ თავიანთ ერთად-ერთ საყვარელ ასულის

ეკატერინეს

გარდაცვალებას. ცხედარს ტფილისიდან მიასვენებენ სადგურ რიონზე დღეს, 27 მაისს, დილის 9 საათზე. (2—უ.—2)

კვირას, 27 ამა მაისს.

ბალერმოს ბაღში (მიხეიდის ქ., იუნკერების სასწავლებლის პირდაპირ) გაიმართება

სეირნობა და ლატარია-ალეგრი

წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ.

სეირნობის დროს გამართული იქნება სხვა და სხვა გასართობი ბავშვებისა და დიდებისათვის (ლოტო, დოღი, ანკესი და სხვა); დაუკრავს ორი ორკესტრი და სანდარი, იმღერებს ქართული ხორო. გამართული იქნება აგრეთვე სტერეოსკოპი. ლატარიაში, სხვათა შორის, ჩაგდებულია ორი სარკე თითო ასი ასი მან., გრამოფონი—ასი მან. და სხვა ძვირფასი ნივთი.

9½ საათიდან ცეკვა

ბაღში შესასვლელი 30 კაპ., ბავშვებისათვის—15 კაპ. ლატარიის ბილეთის ფასი—25 კაპ. (8—8)

იაროსლავის მაღაზია

გოლოვინის პროსპექტი სახაზინო თეატრის მახლობლად, „ბოიარსკის“ სასტუმროს პირდაპირ, სახლის სტეფანოვისა.

ბოდგან დიდ-ძალი სეზონის საქონელი შეგროვილი, რათა ეს საქონელი არ დარჩეს,

ამიტომ სეზონის ყველა საქონელზე ფასები ბევრად დაკლებულია.

ვურჩევთ ყველას

იაფი!! მკვიდრი!! სარეკა

სარატოვის სარპინკა არშინი 9 კაპ.-დან

ფულიარი და სხვა-და-სხვა ფერის მუსლინი არშინი 12½ კაპ.-დან

აბრეშუმ ნარევი სატინი არშ. 23 კაპ.-დან

ქსელია სხვა-და-სხვა ფერისა არშ. 20 კაპ.-დან

შალის მატერიები არშ. 58 კაპ.-დან

(1—109—1) **პ. ს. დოროფეევი.**

ექიმის ქუჩა

ალ. სოლოდოვნიკოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12-ახალი მდივნისა. (35)

ექიმი

ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.ე—61)

ქ. ქუთაისში

ექიმი დ. ვ. ფანცხავა

იღებს საბებიო, ქალის და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 8—12 საათ. საღამოობით 5—7 საათამდე. ქარავან-სარაის ქ., სახლი ადამიანი (25—კვ—22)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ ბედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორდანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წ.—116)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

ყანაბა და ვენერიული. დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორდანოვის ქუჩა № 14.

ექიმი

ვ. ს. ფუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. **კიროჩნი ქუჩა № 9.** (თვ.)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ფასი რჩევისთვის 50 კაპ

ყანქის დიდი ქუჩა, № 5. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

რუდენკო—შინ. სნეულ. კვირას 3—4 ს.

იანჩევსკი—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.

ვნუკოვი—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.

არმოლაევი—შინ. და ბავშ. ყოველ. 11—12 ს.

აზბუზოვი—ყურ. ყელ. და ცხვირის დროებით წავიდა.

ნოკიცკი—ქალისა და ბავშვისა, ყოველდღე, კვირას გარდა 1—2 ს.

გორბალევიჩი. შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.

ნეუიმინი—თვალ. ორშ., ოთხ. პარ. 12—1 ს.

ინაევი. ქალისა, ყოველ დღე 4—5 ს.

თეთრაძე—კან. და ვენერ. ყოველდღე 1—2 ს.

ბოდოვსკი—შინ. შთაგონ. ყოველდღე 4—5 ს.

მონსე—ბავშვ. სამშ., ხუთშ., შაბ. 4—5 ს.

ექიმი ქალი იოსელიანი:—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ. 11—12 ს.

პავლოვიჩი—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.

ნევზოროვა—კბილისა, ყოველ დღე 11—5 ს. კვირ. 11—2 ს.

პივარსკი
ჩუდნოვსკი } კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—95)

ქუთაისში

ექიმი მატიუხოვი.

მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოკისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—15)

ბამგეობა ტფ. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა ამით აცნობებს პატივცემულ წევრთ საზოგადოებისას, რომ 31 მაისს, დილის 11 საათისათვის, ტფ სამეურნეო ბანკის სადგომში დანიშნულია **მორიგი საზოგადო კრება** გამგეობის ანგარიშის განსახილველად და სარევიზიო კომისიის მოხსენების მოსასმენად. (3—უ.—1)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი

სთხოვს გუბერნიის თავად-აზნაურთ მობრძანდნენ **თავად აზნაურობის საგანგებო კრებაზე,** რომელიც მოხდება ამ წლის 27 მაისს, დღ ს 12 საათზე ქ. ტფილისში, ტფილისის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს ბინაზე (ბელინსკის ქუჩა, № 2.

განსახილველი საგნები:

1. ანგარიში თავად-აზნაურობის 1906 წლის ფულისა.
2. ხარჯთ-აღრიცხვა 1907 წლის შემოსავლის განაწილებისა.
3. საადგილ-მამულო კომისიის მოხსენება.
4. თავად-აზნაურობის სტიპენდიების მოხმარების წეს-რიგის პროექტი.
5. მოხსენება თავად-აზნაურობის თეატრის შეკეთების შესახებ. (3—ნ.—3)

31 მაისს დ. ჩოხატაურში მოხდება აქაურ თავისუფალ ეტლთა წარმოების ამხანაგობის კრება, რომელმაც უნდა განიხილოს შემდეგი:

1. სარევიზიო კომისიის გამოკვლევით ამხანაგობას მოსვლია 1215 მ. 57 კ. ზარალი; ეს უნდა გადახდეს გამგეობას, რადგან იმის დაუდევრობით მომხდარა ზარალი.

შენიშვნა: ასეთივე აზრი გამოსთქვა სამედიტ.ტორო სასამართლომ, რომელიც არჩეული იყო ამხანაგობისა და გამგეობის შორის.

2. ამხანაგობის საზოგადო კრებამ უკანასკნელად უნდა და ასტუროს ამხანაგობის ქონების მეეტლეებზე გადაცემა და დაადგინოს ხელ ახალი ნიხრი მიმოსვლისა. ამასთან უნდა აირჩიოს ერთი კაცი, რომელსაც უნდა დაევალოს თვალყური ადევნოს მეეტლეების მოქმედებას.

3. კრებამ უნდა გადასწყვიტოს მეეტლეებზე დარჩენილ ვალის შემოტანის ვადა. ვალი უდრის 2245 მ. 47 კ.

შენიშვნა: უკეთუ რომელიმე ამხანაგი კრებაზე დასწრებას ვერ მოახერხებს, ვსთხოვთ, რომელსამე ამხანაგთაგანს გამოუგზავნოს ანუ გადასცეს რწმუნების ბარათი და აღნიშნულ საკითხთა შესახებ თავიანთი მოსაზრებანიც გამოგზავნონ დ. ჩოხატაურში მღ. **ლუკა ხუნდაძის სახელზე** (2—106—2)



ყურადღება!!!

მშრომელ ქალებსა და ბიჭებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ ალონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთ ნ.

ამ მაშინაზე სამუშაოდ ნ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების „როსსია“ ს წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში მთავარ ფოსტამტის მეზობლად. ადრესი: Тифлисъ, Троицкая у., д. № 7, по сосѣдству съ главн. почт.-телегр. конторы. (50—73.—22)

მასწავლებელ ქალთა საზოგადოება

(პუშკინის ქუჩა, № 3, საკრედიტო საზოგადოების სახლი)

მასწავლებელი ქალები აძლევენ გაკვეთილებს, ასწავლიან ყველა საგანს, ადგილობრივ და ტფილისს გარედ. (15—14)

მასწავლებელ ქალთა საზოგადოება

(პუშკინის ქუჩა, № 3) სთხოვს ყველა იმ მასწავლებელთ, რომელნიც აპირებენ მოსკოვსა ან პეტერბურგს წასვლას **პედაგოგთა კრებაზე** დასასწრებლად, მობრძანდნენ საზოგადოების სადგომში დღეს 27 მაისს, საღამოს 8 საათზე, შელავათიანის პირობებით მგზავრობაზე მოსალაპარაკებლად. (უ. 1—1)

ტფილისი, 27 მაისი

ათიოდე წლის წინად ქართულ საზოგადოებაში საკმაოდ დიდი გასავალი ჰქონდა „მცირე“ საქმეების თეორიას. მართალია, ამ თეორიას არც არავინ ხმა მაღლა ჰქადაგობდა და არც იმის დასაბუთებაზე ზრუნავდა ვინმე, მაგრამ მაინც სწორედ ამ თეორიით ხელმძღვანელობდა დიდი ნაწილი ჩვენის ეგრედ წოდებულის საზოგადო მოღვაწეებისა. მრავალ პატივსადებ და არა პატივსადებ პირობისა გამო ფართო იდეალები და გაბედული ტაქტიკა სრულიად განდევნილი იყო ცხოვრებიდან. დაშინებული გრძნობა და ვიწრო ჩარჩოებში ჩაჭედილი საზოგადო მოღვაწეობა ისეთ სარბიელს ეძებდა, სადაც იგი ძლიერთათვის ამა ქვეყნისა შეუმჩნეველი იქნებოდა და ხალხს კი თუმცა მცირედს, ძალიან და ძალიან მცირედს, მაგრამ მაინც სარგებლობას მოუტანდა.

ეს ხანა მცირე საქმეების თეორიისა გაჰქრა. როგორც ყოველთვის, საზოგადოებრივმა განწყობილებამ ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობისაკენ გადიხარა. მცირე საქმეებს სრულიად დაეკარგათ ფასი და გულისყური მთლად ძირითად მნიშვნელობის საქმეებისკენ მიიქცა. შემუშავდა ახალი შეხედულება, რომელიც ყოველ საქმიანობას წინასწარვე ანდერძს უგებს, წინასწარვე უნაყოფობას უქადის, ვიდრე სრული ძირითადი რეფორმა არ მოხდება ცხოვრებაში და რადიკალურად არ იქნება შეცვლილი საფუძველი ეხლანდელ პოლიტიკურ წყობილებისა. საკმარისია მოვიგონოთ, რომ ათიოდე წლის წინად ხალხის პროგრესიულ ელემენტების მისწრაფება შიდა რუსეთის კუდ-შეკვეცილ ერობაზე შორს ვერ მიდიოდა, ეხლა კი იმავე ხალხის პროგრესიულმა ნაწილმა ერობის შემოღება პრინციპიალურად იუკადრისა და იკოტავა: ერობა კი არა, ჩვენ მთელი მიწა გვინდა და დემოკრატიული რესპუბლიკაო.

ეს უკიდურესობა ფართო იდეალებით გატაცებისა პრაქტიკულად იმაში გამოიხატება, რომ ჩვენს საზოგადოებასა და ხალხში საარაკოდ იზრდებიან პოლიტიკური პარტიები, ხოლო კულტურული მუშაობა კი თანდათან სრულიად იკარგება. საკმარისია მოვიგონოთ, რომ მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ერთს მეხუთედზე ცოტა ნაკლები ძალა ჩვენს ქვეყანაში იმყოფება, თუმცა მცხოვრებთა რაოდენობის პროპორციონალობაზე აქ ამ პარტიას მხოლოდ თავის ძალის ერთი მესამოცედი ნაწილი უნდა ჰქონოდა, ხოლო ეკონომიურ მდგომარეობის მიხედვით კი კიდევ უფრო ნაკლები. პოლიტიკურ პარტიების ზრდა თავის თავად სასარგებლოა და არა მავნებელი, მაგრამ თუ პოლიტიკამ ხანგრძლივად გასწყვიტა კავშირი კულტურასთან, თუ პოლიტიკურმა ზრდამ ხანგრძლივად დაჩრდილა კულტურული მუშაობა, ეს ფრიად საზიანოა ხალხის ცხოვრებისათვის საერთოდ და თვით პოლიტიკურ პარტიებისათვის კერძოდ. პოლიტიკა და კულტურა ნორმალურს პირობებში ერთმანეთს არ უნდა ასცდნენ; პოლიტიკას და კულტურას ერთმანეთთან ისეთი მჭიდრო კავშირი აქვს, რომ ხშირად შეუძლებელია გამოვარკვიოთ ესა თუ ის საქმე პოლიტიკურია თუ კულტურული. რაც უფრო საღს დონეზე სდგას საზოგადოებრივი ცხოვრება, მით უფრო მჭიდროა ეს კავშირი პოლიტიკისა და კულტურის შორის. პოლიტიკური პრინციპები კულტურის საშუალებით შეისხავენ ხორცს, ხოლო კულტურული საჭიროებანი პოლიტიკით ვაიკაფავენ გზას. პოლიტიკით კულტურის დაჩრდილვა რეალურ ცხოვრებისაგან მოწყვეტილი თეორიული სქემატიზმია, ხოლო კულტურით პოლიტიკის დახრჩობა კი აზროვნების სივიწროვეს და იდეალების სიმჩატეა. კულტურა პოლიტიკას უნდა აძლევდეს საზრდოს, ხოლო პოლიტიკა კულტურულ მოძრაობას უნდა აძლიერებდეს და ანაყოფიერებდეს.

როგორც ზემოდ ვთქვით, ჩვენს ცხოვრებაში ეხლა შედარებით დიდი ადგილი უჭირავს პოლიტიკას და ძალიან ნაკლები კულტურას. ჩვენის შეხედულებით კულტურის და პოლიტიკის შემაერთებელ ჯაჭვის უქონლობის ბრალია ისიც, რომ ყველაზე მეტად სწორედ იმ პოლიტიკურმა მიმართულებამ გაიდგა ფეხი, რომელსაც ჩვენში სრულიად არავითარი ან თითქმის არავითარი ბუნებრივი ნიადაგი არა აქვს ხალხის ცხოვრების რეალურს პირობებში. საკმარისია მოვიგონოთ, რომ დიდი უმრავლესობა ქართველის ხალხისა სოფლის წვრილ მეურნეებისაგან შესდგება და ყველაზე მეტად გავრცელებული პოლიტიკური პარტია—სოციალ-დემოკრატია კი—მთელს თავის მოძღვრებას პროლეტარიზაციის აჩქარებაზე ამყარებს. საკმარისია მოვიგონოთ, რომ უკანასკნელ ხანებში ბევრი მიმდევარი უჩნდება ანარქიზმს, რომელიც ყოველის უწინარესს სახელმწიფოს დანგრევას ჰქადაგებს, იმ სახელმწიფოსას, რომელიც ქართველერს ასი წელიწადია, რაც დაენგრა და აღარ გაჩნია. თავის თავად ცხადია, რომ არც პროლეტარიზაცია და არც სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის დანგრევა ჩვენი ხალხის კულტურულ საჭიროებათა შესაფერი და კულტურულ საჭიროებათა დამაგვირგვინებელი პრინციპები არ არიან. ორივე ეს მიმართულება სქემატიურ აზროვნების ნაყოფია, ორივე ჩვენი ხალხის ცხოვრებისაგან მოწყვეტილ კაბინეტებშ-ა დაბადებული და აღზრდილნი. ჩვენი ხალხური კულტურა ვერც ერთს შეურიგდება, ვერც მეორეს. მაგრამ ეს შეურიგებლობა პრაქტიკულად უნდა გამოირკვეს კულტურულ მოღვაწეობის ნიადაგზე და არა მარტოოდენ თეორიულად.

ჩვენ ხაზს უსვამთ კულტურულ მუშაობის გაძლიერებას, მაგრამ არა იმიტომ რომ პოლიტიკა აგვეთვალწუნებინოს, არამედ იმიტომ რომ პოლიტიური მოძრაობა მხოლოდ მაშინ არის ძლიერი და არა მარტოოდენ მყვირალა, როდესაც იგი მჭიდროდ და განუყრელად შეკავშირებულია ხალხის მთელს კულტურასთან. ეს საანბანო ჯეშმარიტება უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში განსაკუთრებით პირობებისა გამო თითქოს ყველას დავიწყდა. ამ დავიწყებამ კი ჩვენი ხალხის კულტურული წინმსვლელობა და ამის შესაფერი მზრუნველობა საზოგადო მოღვაწეებისა გაჰყინა და შეაჩერა. არსებული კულტურული დაწესებულებანი სიკვდილის კარს არიან მიმდგარნი, ხოლო ახალი რამ კულტურული საქმიანობა კი არსად სჩანს. საკმარისია მოვიგონოთ, რომ 1905 წლიდან ჩვენს ქვეყანაში მრავალი სახალხო სკოლა დაიხურა, მრავალი ქსენონი გაუქმდა, და სხვა. საკმარისია მოვიგონოთ, რომ პოლიტიკურ პრინციპების ზოგიერთ მქადაგებლებს ხალხისთვის აბრეშუმის ჭიის გაშენება დაუშლიათ და ნათესის ამომგდებ თაგვების ხოცვა აუკრძალავთ. კმარა, ამდენი

დებს. პასუხის გაბაში მიცემულის თხოვნით სხდომა შეიძლება ღია იქნას.

სათათბიროს პრეზიუდიუმის ფრაქციების წარმომადგენელებთან თათბირმა გადასწყვიტა, შეადგინოს განსაკუთრებული კომისია მუშათა საკითხის შესახებ, თვითმართველობის კომისიას 22 წევრი მოემატოს და მიენდოს კომისიას შეიმუშავოს ნაკაზი, შეიმუშავოს წესები, რომელიც შეეხება იმ გარემოებას, რომ დეპუტატები საზოგადო კრებებს არ ესწრებიან; რადგან გამოირკვა, რომ 150-მდე დეპუტატი სულ-მუდამ აკლდება კრებებს. მიხეილ სტახოვიჩსა და კაპუსტინს მიენდო შეიმუშავონ წესდება სამსჯელობოსი, როგორც მუდმივი ორგანოსი.

სათათბიროს კომისიამ სარწმუნოების თავისუფლების შესახებ დაადგინა, მიეცეს უფლება შინაგან საქმეთა მინისტს აღძრას საკითხი ან მოსპოს მოღვაწეობა რელიგიოზურ საზოგადოებათა; მინისტრი თავის განკარგულებას გადასცემს დასამტკიცებლად სენატს, რომელიც საბოლოო მსჯავრს დასდებს. ამ საქმეთა შესახებ დადგენილებას სენატისას როგორც მინისტრი აგრეთვე დაზარალებულნი პირველ და საკასაციო დეპარტამენტების საზოგადო კრებაში განასაჩივრებენ.

შავი-ქეის მრეწველთა მეცხრე კრება

მრეწველების ეხლანდელი კრება იმით განსხვავდება სხვა კრებისაგან, რომ წინად, ძველ რეჟიმის დროს, კარეშე ხალხს აკრძალული არა ჰქონდა კრებაზე დასწრებისა, ეხლა კი, „კონსტიტუციის“ დროს, სამხედრო წესების გამო ეს უფლება ჩამოერთვა ხალხს. ერთ ხანს ბრესის წარმომადგენელთა მდგომარეობაც საეჭვო იყო, მაგრამ გვიხსნა დმერთმა, არავის მოვაგონდით და ჯერჯერობით გამოჯანმეფნი ვართ ერთ ბაწკინტელა მაგიდასთან.

თავმჯდომარემ, ძველმა ნაცნობმა ჩენგერიმ, კრებას სიტყვით მიმართა და აღიარა, რომ ძნელია ჩემი მოვალეობა, მაგრამ გუდი მაგრა მაქვს და დვთისა და თქვენის შეწევნით გავუძღებ თქვენ გაჭიანურებულ დაბარაკსა. სწორედ ამ დროს იდ. კაკაბაძემ შეაწყვეტინა სიტყვა და ითხოვა, საოთბიროს ვაცნობოთ, რომ ქართულად დაბარაკის ნებას არ გვაძლევენო. ეგ გზა კარგია, უბასუხა ზდანოვიჩმა, მაგრამ დღევანდელ ჩვენ სურვილს ვერ დაკმაყოფილებს, რადგან საოთბიროს საკანონმდებლო გზით თუ გადასწყვეტს კითხვას, თორემ სხვა გზა არა აქვსო.

თავმჯდომარემ კვლავ განაგრძო ტოტა მოსაწყენი სიტყვა და ბოლოს კრებას წინადადება მისცა, მდივანი აირჩიეთო. მაღე მტერი მოგიკვლეთ, მაღე აირჩიეს დ. მდივანი მდივნად. აირჩიეს იმ კომისიის წევრებიც, რომელთაც საბჭოსთან ერთად უნდა შეამოწმონ კრების წევრთა სია. კომისიაში მოჰყვნენ: ბარ. მოსეშვილი, ივ. მელია, ილ. მხეიძე და ინჟინერი წეითლინი.

თავმჯდომარემ კვლავ დაიწყო სიტყვა იმის შესახებ, რომ დღეს ანკარიშს საბჭოს მოქმედებისას ვერ განვიხილავთო, რადგან იგი კვიან დაიბეჭდაო. ამ დროს ზალაში მძაგერად გაისმა „ПОЗВОЛТЕ СЛОВО“. თავმჯდომარე ტოტა არ იყოს, შეეხუკიანდა, რომ კვლავ შეაწყვეტინეს დაბარაკი, მაგრამ მაინც ჰკითხა ვინა ბრძანდებითაო. სვიშან ნიკოლოზის ძე წერეთელიო, სთქვა მან. ეოფვიდი დეპუტატი სახელმწიფო საოთბიროსიო, განუმარტეს აქეთ იქიდან თავმჯდომარეს, ბ-ნ წერეთელს სიტყვა მიეცა: მე მახსოვს, სთქვა მან, რომ კრება აქ კი არა ჭიათურაში უნდა ეოფილიყო და რათ არ შესრულდა კრების სურვილი; გარდა ამისა, მრეწველთა უმეტესი ნაწილი ქართველებია და ქართულის მეტი სხვა ენა არ იციანო და ამ საკანონმდებლოზედ ვიშუამდგომლოთო“.

„რამდენად ეკვარკვალიცება საოთბიროს ეოფილს წეგრს და იმის ამხანაგებს ქართული ენა,—სთქვა კიტა აბაშიძემ,—იქიდანა სჩანს, რომ რიცა საოთბიროში სახალხო სწავლაზე იყო დაბარაკი, არც ერთმა მათგანმა კრინტი არ დასძრაო“.

მიეუჩდა ექს-დეპუტატი და უთუოდ გულში ფიქრობდა—ერთბელ გამოგვექომაგე ქართულ ენას და იმისთვისაც ჩამდაგმესო.

ამ საკანზე სხვებმაც იდაბარაკეს და ბოლოს საოთბაბათოდ გადასდეს: ამ დღეს მეტი ხალხი შეიკრიბებაო, თუმცა ბ-ნ წერეთლის შეკრთებულ წინადადებას ქართულ ენისა და კრების ჭიათურაში გადატანის შესახებ თავმჯდომარემ სამჯერ უარა კენჭი. პირველად წერეთელს 3 კაცი მიეშველა, შორედ—4 და შესამედ 8.

შემდეგ კრება პროგრამის მე 4 მუხლის განხილვას ეუფლა.

პროგრამის მე 4 მუხლი ამ შინაარსისაა: „საზოგადო დებულების დამტკიცებამდე, შეტყდა და დამტკიცა კრების შესახებ დებულების ზოგიერთ პარაგრაფისა“.

ზდანოვიჩმა წაიკითხა დასაბუთებული მოხსენება, სადაც აღნიშნული, რა წინააღმდეგობას უწევდნენ მრეწველთა კრების ბენებრივად მსჯელობას ძველი რეჟიმის წარმომადგენელნი და განსაკუთრებით მინისტრად ნამოფი ერმოლოვი, რა ეუზომოთ აკვეტავდნენ კრებას უფლებას, რამდენად დიდი იოთაპქონ სურვილი და ამის გამო რამდენად ფერხდებოდა მრეწველობის საქმე.

დასასრულ მოხსენება ეხება ქართულ ენის ხმარებას კრებაზე. დღემდის უოველად კანონიერი და ბუნებრივი სურვილი არა კმაეოფილდებოდა, რადგან ამის წინააღმდეგი იყო მინისტრი ერმოლოვი, რომელსაც წარმოდგენილი ჰქონდა, რომ იგი იცავდა რუსეთის სახელმწიფოებრივ საფუძველს, რომ რუსულის არ მცოდნე ქართველებს უფლებას ართმევდა თავისი აზრები საძმობლო ენაზე გამოთქვათო. ეხლა უთუოდ ასეთ წინააღმდეგობას არ კაკვიწეგენო. ამით გათავდა სხდომა კრების გაგრძელება შაბათს იქნება.

თქვენ ტელეფონთან.

— მე პირადად?

— დიახ თქვენ: ვთხოვე, ჩემთვის ეთქვა, რაშია საქმე, მაგრამ მიპასუხა, რომ თქვენთანაა საჭირო პირადად მოლაპარაკება.

— მაშ, სჩანს კიდევ რამე აღმოჩნდა!—სთქვა გუბერნატორმა და გასწია ტელეფონისკენ.

დაბრუნდა გაფითრებული და აღელვებული.

— რა ამბავია?!—ჰკითხა შეშინებულმა ფორმალინმა,—აფეთქდა?

— ეშმაკმა იცის, რა ჩაიდინეთ,—მკვახედ უპასუხა გუბერნატორმა:—არავითარი ყუმბარა არ არის იქა!

— როგორ?!

— როგორ და ასე... ეხლავე პოლიციის უფროსი გვიამბობს...

ფორმალინი გაშეშებული იდგა, გუბერნატორი კი ჩქარ-ჩქარა დადიოდა ოთახში. ბოლოს პოლიციის უფროსიც შემოვიდა.

VII

— სთქვით, რა ამბავია იქ?—გაჯავრებულის კილოთი ჰკითხა გუბერნატორმა პოლიციის უფროსს.

— დიახ... დიახ, თქვენო აღმატ—ბავ... შეცდომაა...

— სთქვით ჩქარა, რაშია საქმე?!

— მათი აღმატებულება (პოლიციის უფროსმა ფორმალინზედ უჩვენა) მოტყუებულან...

— აი ღმერთო, „შეცდომა“, „მოტყუება“, რაშია საქმე—მაინც ვერ გამიგია?

— დებულა თურმე ყუმბარა კი არა, ლამპის ბრგვალი ჩამოსაფარებელი... გამოძიების დროს მოვიდა სახლის მეკარე და განაცხადა შემდეგი: ლამპის მაღაზიის ნოქარმა მოიტანა ის ჩამოსაფარებელი, რომელიც უყიდნია მათ აღმატებულების მეუღლეს, და უნდოდა მიეტანა სახლში. მეკარე შეჰხვედრია და უბრძანებია დაედო იატაკზედ, რადგან თითონ მეკარე დაბრუნებისას გადასცემდა...

ამ დროს გუბერნატორის ოთახში შევიდნენ ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი და ჟანდარმთა უფროსი.

— უკაცრავად, თუ შეიძლება მაპატიეთ,—მიეგება მათ გუბერნატორი;—თურმე ტყუილად შეგაწუხეთ.

— დიახ,—უპასუხა ბრალმდებელმა:—ეს არის ეხლა შევხვდი ჩემს თანაშემწეს და აღმოჩნდა, რომ მრგვალი საგანი, რომელსაც შეუშინებია გრიგორ ფილიპიჩი, ყუმბარა კი არა ლამპის მრგვალი ჩამოსაფარებელი ყოფილა.

— აი სწორედ ეხლა ამაზედ მელაპარაკება პოლიციის უფროსი... აბა განაგრძეთ!

— და სწორედ იმ დროს, როცა მან დასდო ჩამოსაფარებელი და ჩქარა ჩამოდიოდა კიბეზედ,—განაგრძო პოლიციის უფროსმა,—გამოვიდნენ თურმე მათი აღმატებულება და...

— ამისთანა მოუსვენარ დროს უნებურად გებადება საშინელი აზრი!—გააწყვეტინა პოლიციის უფროსს სიტყვა ფორმალინმა:—ყველა გაზეთი სავსეა...

— მომითმინეთ,—შეაჩერა ის გუბერნატორმა:—ახლა რა ვქნათ?

— რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა უნდა გ[illegible] ავისუფლდეს დაპატიმრებული,—სთქვა ბრალმდებელმა.

— რასაკვირველია, ეგ ცხადია,—დაეთანხმა გუბერნატორი და დაუმატა:—იქნება, თქვენ ეხლავე შეასრულოთ ამას ტელეფონის წყალობით, ქალაქდით კიდევ მერე...

— სიამოვნებით...

ბრალმდებელი, გუბერნატორი და მათთან ერთად სხვანიც გავიდნენ ტელეფონის ოთახში. ბრალმდებელმა მოითხოვა, რომ შეერთებინათ საპატიმროსთან, რის შემდეგაც დაიწყო ლაპარაკი საპატიმროს ზედამხედველთან.

პატარა ხნის შემდეგ ბრალმდებელს ტელეფონის ლულა გაუვარდა ხელიდან, გაფითრებული მიესვენა კედელს და აზრდაფანტული იყურებოდა გარშემო.

— რა დაგემართათ?!—მიაძახა გუბერნატორმა, მიუახლოვდა და ხელი მოჰკიდა.

— იცით რა მიპასუხა ეხლა ზედამხედველმა?—მიბნედილის ხმით სთქვა ბრალმდებელმა.

— რაო?!

— დაპატიჟებული, რომელიც ძალზედ ნაცემი ძიუყვანიათ საპყრობილეში, ველარ მოსულიერებულა და ეს არის ეხლა მომკვდარა...

ყველანი შეერთდნენ. ყველამ პოლიციის უფროსს შეჰხედა.

მან თავი ჩაღუნა და ძირს დაიწყო ყურება.

დ. ჯავახიშვილი.

ჩონი თავსვადასავალი პარსეთიდან საქართველოსაკენ მოგზაურობის დროს

(შემდეგი *)

როდესაც დრო გქონდა, შემოიყრებითყე ქართველები და სულ საქართველოზე ვლაპარაკობთ. მე მიტოცებდა საქართველოს ნახვის სურვილი. ისე, რომ ყველაფერი მაიწყენებდა. და ვფიქრავ, ჩემი თავი ს[illegible]ელოჩი მგონია. როდისაც ისინი დაიწყობდენ საუბარს, სულ გზის ამბავს ვკითხავდიყე, თუ როგორ უნდა წავიდეს კაცი მეთქი. მეკბნებიან: რას აქნევ გზის ამბავს? ვებნებიყე: მინდა წავიდე, იქავრობა ვნახო მეთქი. აბა შენ როგორ წახოლ, იქ წასვლა ადვილი არ არისო. მე უთხარყე—კაცის სურვილი ყველა ზადს გაადვილებს მეთქი. მაგრამ ერთ რამეზე ფეხნი უკანა მკივიან, რომ ფული ცოტა გოქს მეთქი. თუ კი საგზაო ფული ვიქნებათ, როდესაც მიხვალთ საქართველოჩი, იქ სუ რამე ადვილიაო, კიდევ მითხრეს, რომ ბაშბორთი თქვენთვის საჭირო არისო, უბაშბორთო კაცს არ შეუძლიან საზღვარის განზე გავიდეესო. მე ვთქვი: ისიც ადვილია მეთქი და საღამოს წავედით იასონასთან. იმასაც ჩონი წამოსლა გავაგებინეთ. იასონამ სიხარულით მითხრა: აჰ კაცო, რა ბედნიერი კაცი იქმნები, თუ მართლა ეგეთი საქმე ჰქნათო. მეც წერილს გაგატანთ იქ ჩემ ნაცნობებთან კარგა მიგიღონო და წერა-კითხვა გასწავლონო. აი ჩონი წიგნებიო, და ადგა მამიტანა რამდენიმე წიგნი და დაიწყო მშენივრად კითხვა. მე ერთი წიგნი ავიღე. არ ვიცოდი თავი რომელია, ბ[illegible] რომელია; რამდენსაც ვეცქერები, [illegible]ფერი ვერ გამირჩევია, მაგრამ იასონა და სხო ჩონი ბიჭები გოვბნებიან, ემ წიგნებს უეჭოლად ისწავლითთ. იასონამ უთხრა გაბოს: შენ მოცლილი ხარ და [illegible]ან-ბანი დაუწერეყე, ნელ-ნელა ისწავლიანთ. იმავე საათჩი დოგვიწერეს ან-ბანი, მეც ასოების ქეშ პარსული დაუწერე და მე და ყალამრეზამ თითო ერთი ჩავიდეეთ უბეჩი. ეხლა გზას ვკითხავყე და გზის ხარჯს ესენი ძლიერ მიახლოვებენ.

ავდექით წამოვედით იმ ჩონ მანზილზე იმ ღამეს ჩემ თავლზე ძალიან მოსულა, დიდი ფიქრები მოსდის, ხან სახლისა, ხან გზისი, ხან იმ ჩონი საქმეებისა, ფულებისა. კინამდ[illegible] იმ ღამეს გავვიდა. ბოლოს გარდავწყეტე საქართველოჩი მოსვლა. დილას წაველ შეიხ მადალიასთან და უთხარ, მე მიველ საქართველოჩი შეთქი. როგორ თუ მიდიხარო. ეერერო ჩონი ძმები კარგად მჩენებენ გზას და მიმახლოვებენ. ეხლა ერთი საქმეა საჭირო, რომ შენ მიშველო და ბაშბორთები გაეოვეურო. შეიხ მადალიას ძალიან მოეწონა და მითხრა: კაცო, ნეტამც მეც ქართული მცოდნიყო და წამოკყოლიყავო. იმ დღეს პარასკევი იყო, დილას უნდა წასულიყენევით ბაშბორთის გამოსართმევად. იმ ღამესაც ცოტას ხან ჩონ. ბიჭები მოვიდნენ და მიიმბეს რალაც, რო სურვილი დამიმატა. მაგრამ ზოგი ერთ საუბრებს უბნობდნენ: აქაურ არევლობის ამბებს, ან გზის შიში, ან სომხების და თათრების ჩხუბი, ან ქალაქჩი ქუჩაზე კაცის კვლაო. მე უთხარყე: კ ცო, რაც თელ საქართველო, მეცა; აბა მართო ჩემთვის კი არარის მეთქი.

დილას წავედით შეიხ მადალიასთან ერთად სადაც ბაშბორთს აძლევენ. იქ არის შაჰის სასახლე. ის კაცი, ბაშბორთებს რომ აძლევს, სახელით აბდორაზაყხანი, იმან კუთხრა, თუ სადრე აზამის ბარათს არ მიიტანთ, მე ბილეთს არ მოგცემყეო. შეიხ მადალიამ გვიხრა, დადექით და მე წავალ ბარათს მოვიტანო წავიდა, ერთი საათის შემდეგ მოვიდა, მაგრამ ბარათი ვერ მოიტანა, იმიტომ რომ სადრე აზამს ებძანა, უნდა იმათ იგეთ კაცისაგან ბარათი მიიტანონ, რო მე ვიცნობდე, თუ არა და არ შეიძლებაო. რადგანაც იქმნება ესენი იყნენ საადამმე გამოქკეულნი, ან ვინმე მეეკლათ და ეხლა მიდიან რუსეთჩიო. ეს ამბავი ჩონ ძალიან გოწყინა და მინდოდა მეთქო: ნეტამც ეს ძალა და ეს სიმართლე თქვენ სახლის გარდა, სხოგანაც გქონდესყე, იმებიან, რომ მთელ პარსეთი აიკლეს, მაგრამ ვერ ვიტყოდი, დავბრუნდით. იმ ღამეს არ ვიცი როგორ გავათენე. დილას ისევ წავედით შეიხ მადალიასთან, ისიც თავის ამხანაგებით წავიდა ემამე ჯომასთან, რადგანაც ვიცით, რომ იმის ბარათს სადრე-ააზამი მიიღებდა. ეს ემამე ჯომა არის ქალაქ თეირანის მსაჯული და დიდ ნაკითხი, ყველ დღეს შაჰთან წასვლა მოსწყლა აქვს; იმისი სახლი არის ბასტი, როგორც წინ მოგახსენეთყე, იმ წმიდანების საფლავები ვინაც იმის სახლჩი შეაწროს, თუ კაციც მეეკლას, ვერავინ ხელს ვერ წააწვდის. ის ჩონი შეიხები შევიდნენ და ჩონ კარჩი დავრჩით. მიზეზი ის იყო, რომ ემამე ჯომას ჩონ თავი არ უნდა ენახვა, რადგანაც იტყოდა: ესენი ჯეილებია, იქნება რამე დაუშავებიაყეო. ეხლა არ იქნების სუყელასთან ჩონი გული გავშალოთ და პირველსყე მოვუყვეთ. შეიხ მადალიამ უთხრა ბარათის სიტყვა და სთხოვა, რომ დაეწერა. ამან მოგუთხოვა, ჩონც შავედით. ოთახი სავსე იყო ხალხი და ახუნდებით. პირველმამე ჯომამ მიბრძანა: სადაური ხარო. ისპაჰანის გუბერნიისი მეთქი. სად მიდიხართო? ბაქოჩი, რასათვის?—ჩონი ძმა იქ ავად არის, გვინდა ვნახოთ. თქვენი ძმა იქ რას იქს? ვაჭროობს. რასაო? წიგნების მაღაზია აქვს. რაის წიგნისა? ვუთხარ მაღაზია წიგნით არის სავსე, რა ვიცი რაის წიგნი აქვს. ახლა სხოსთან ილაპარაკის, ხან ყალიონი მოწევის და რამოდენიმე ხნის შემდეგ კიდევ ერთი სიტყვა ილაპარაკის. და ბოლოსაც იმის თქმა ესები იყვის, რომელიც ვერც თითონ გაიგო რა მკითხა და ვერც მე, იმ დროს ჩემი ამხანაგებიც გამოვიდნენ. შეიხ მადალიამ მითხრა: კაცო, შენ ეს კაცი ბოლოს ძლიერ შეილანძღე; მე შემეშინდა ჩონთვის ხიფათი არ მოეცა, რადგანაც ეგეთ მაგრა პასუხს ვერაკინ მისცემსო. მე ვუთხარ: კაცს სიტყვა რომ მოადგა, უნდა სთქვოს, რაც იქმნება კარგი მეთქი.

იმ დღესაც ვერაფერი გავაკეთეთ. დიდ ხანს საქმე გოგუეირდა იმ ბილეთეის გამორთმევაზე. წავედით სხვა მოშტაჰედთან და გამოვართითთ ბარათი, მაგრამ ის არ მიიღეს, სხოგან და სხო ალაგებჩი წავედით. ძლივ-ძლივობით ოცდა ხუთი დღეს უკან შვიდი თუმანი მივეცით და ბილეთები გამოვართითყე. მესამე დღეს წავედით რუსის ყონსოლთან, სამ-სამი მანეთები მივეცითყე: რუსული მარკა დააკრეს. ეხლა დამეჯერა ჩონი მოგზაურობა. მეორე დღეს თავრიზიდგან ჩამოვიდა ერთი ჩონი ქართველი, მიხა ჯულაბოვი. წავედით იმის სანახავად. ისიც ბევრად მემეწონა, ერთმანეთი გავიცანით, მასუკან ის ჩონი აზრიც ვუთხარით. ამასაც ძალიან მოეწონა ჩონი სიტყვა, ნუგეში გუთხრა. მიამბო საქართველოს ცხოვრება, მდგომარეობა და წერა-კითხვის გავრცელება, ერთი მეორეს დახმარება და სხო დასხვა. იმის ახალ ამბებმა ძალიან გამახარა და გული გამიმაგრა.

ერთ დღეს ჩონ ქართველები შამოყრილნი ვიყენევით ჩონ ოთახჩი; მე გამუველ კარჩი, ვხედავ ერთი მადალ-მაღალი ბიჭი ქართულ ტანისამოსჩი გამოწყობილია, ნაბადი, ჩოხა, მასრები, ხანჯარი, რომელიც ოქროჩი დაჭედილი იყო. მაგრამ მარტო ტანისამოსი კი არ ეგვანებდა ქართველს,—იმისი მშენიერი ნამდვილი ქართული სახე, რომელმაც მე გამაკვირვა ჯერ ეს კაცი არ მენახა; ცოტა ხან ვუცქერე და ბოლოს ქართულად დავილაპარაკე. მინდოდა გამეგო მართლა ქართველია თუ არა. ჩემ ლაპარაკზე ვნახე მომიახლოკდა და მკითხა პარსულად—ეს რა ენა იყო, შენ რო დაილაპარაკეო. მე ქართულად გამარჯობა უთხარ. ეს კაცი გაგიჯდა: მეცქერების, შენ ვინა ხარო. მე ქართველი მეთქი და დავჰატიეე იმ ჩონ ქართველებთან; მინდოდა გემეცნობინა ჩონი ძმებისთვის. შავედი ოთახჩი, იმათ იცნეს, მეკბნებიან სადან მოინახე ეს კაციო და როგორ თუ გაიგე, ეს ქართველი არისო. ამ კაცს ყაზვინის გზა ეკეთა და ეხლა მოსულა მეშხედის გზის საქმეს ასაღებლად. იმ დღეს ცხრამდის შავიყარენით. საღამოს მივდივართ იასონასთან, ჩონი ბარათები დავაწერინოთ.

მეორე დღეს გავიგეთ ერთი ქარავანა მიდის ხომსარჩი, რომელიც იმ ჩონ ფერეიდან თანახლოა, ერთი ბარათი მივწერე სახლჩი იმ ჩონ საქართველოს წამოსლისა და ჩავბარე ქარავანს. ეხლა მზათვარ წამოსვლისათის. იასონამაც მეორე დღეს წერილები მოქცა და რაც საჭირო იყო, ჩოგობარა—ჩონაც შიდგბა ეუთხარით და გამოვედით გაბო წამომყვა, საც ფურგუნები ლაგდებოდნენ. ერთი ფურგუნი დავიქირავეთ, ფითო კაცზე რვა ფუმანი-ნახევარი ფული მივეცით. იმ ღამეს მეშედი მაჰმუდასთან ვიყენევით. დილას საათის ათზე ავიღეთ ჩონი ბარგი და ის ჩონი ქართველები სუყელანი ვნახეთ. გამოგაცილონ, [illegible] გოლოდებოდეს. ერთი ვერსს დაახლოვებით გამოგყვეს. ერთმანეთისთვის გული ვერ ოგუსხლეტია. ბოლოს როგორც იყო, ისინი დაბრუნდეს და ჩონ წამოვედით. ამ დღეს სამოცი ვერსი გზა გოქვს ღამით მოვედით ერთი სადგურჩი.

ყოლამოსეინ ონიკაშვილი.

(დასასრული იქნება)

სასამართლო

საქმე ჯარზე თავდასხმის შესახებ.

28 მაისს ქუთაისში სამ. პალატის სესია განიხილავს პოლიტიკურ საქმეს კოტე ლაბაურისას, ვიქტორ ჯაფარიძისას, იოსებ კუციას და ალექს ნდრე ჭრელაშვილისას, რომელთაც ჭარალდებათ ბესარაბიის პოლკის ორი სალდათის მოკვლა და ორის დაჭრა ტყიბულაში 28 დეკემბერს 1905 წელს.

საქმის გარემოება საბრალმდებლო ოქმით ასეთია: ტყიბულაში დაბინავებულ ბესარაბიის პოლკის როტის უფროსის ლეჩინოვისთვის 28 დეკემბერს 1905 წ. უცნობებია ქვანახშირის მაღაროების ინჟენერს შაფს, რომ ქუთაისიდან მოემავალა მატარებელი, რომელსაც მილიციონერები უნდა შეეხვდნენო. კაპიტან ლეჩინოვს ტელეფონით გაუფრთხილებია სადგურზე დაბაკენაკებული რაზმის უნტერ აფიცერი ბურლაჩკა. ბურლაჩკას და მასთან მყოფ 13 სალდათს გადაუწყვეტიათ ვაგონთან ყარაულის დაყენება; ღამის 3 საათზე საყარაულოდ დაყენებულ ჯარის კაცს სერიკოვს, როცა იგი წყლის დასალევად წასულა, ოთხი შეიარაღებული კაცი მივარდნია და გათენებამდის შეპყრობილი ჰყოლიათ; ამ ოთხ კაცში სერიკოვს უცვნია რემონტის მუშა იოსებ კუცია.

ეს ამბავი ეუვანს არ გამოპარებია, ავარდნილა ვაგონში და დაუძახნია: „ბიჭებო, თოფი აიღეთ ხელში, ქართველები დახოცავს გვიპირებენ“. გაღვიძებულმა ჯარის კაცებმა თოფის აღება ვერ მოასწრეს, რომ ვაგონს თოფი და რევოლვერი დაუშინეს, რამაც იმსხვერპლა ივანე უხანოვი და ლუკა კარპენკო, ხოლო დაიჭრნენ სიმონ ეუვანი, ანისიმ დონეცი და ვასილ კალუჩენკო.

პატარა ხანს უკან ვაგონ ქვეშ შეაგდეს ორი ყუმბარა. ამასობაში უნტერ აფიცერმა პურლაჩკამ ვაგონის კარის მიხურვა მოასწრო, და ასტყდა ორსავე მხრიდან სროლა; სროლის დროს ჯარის კაცებს გაუგონიათ: „უთოფოდ გამოდითო“. ეს ხმა ზოგიერთ სალდათებს ტელეგრაფისტის თანაშემწის კოტე ლაბაურის ხმად უცვნიათ.

შემდეგ ამისა ბურლაჩკას ვაგონის კარი გაუღია, თავის რაზმით ძირს ჩამოსულა, ვაგონს ამოფარებია და სროლა გაუმართავს. სროლა გათენებამდის არ შემწყდარა, როდესაც კაპიტანი ლაჩინოვიც მოსულა ქვანახშირის მაღაროებიდან. ამავე დღეს როტა შეერთებულა და ქუთაისს წამოსულა.

ბესარაბიის პოლკის ჯარის კაცთ ნიკ. სიჩოვს და პეტრე ჰეშკოს, რომელნიც იმ ღამეს მაღაროებს ჰყარაულობდნენ, უჩვენებიათ, რომ 28 დეკემბერს ღამე ქვანახშირის კანტორაში ორი უცნობი შევიდა და პატარა ხანს უკან მათთან ერთად ბერდანებით ხელში გამოსულა კანტორის მოხელე ვიქტორ ჯაფარიძე.

ჟანდარმის უნტერ აფიცერ ვოლომენკოს დ. იმათ, რომელნიც მატარებელს წაჰყოლიან ქუ

ექსპერიმენტების მოხდენა ქართველ ხალხის ზურგზე კაბინეტებში სქემატიურად შემუშავებულ საპოლიტიკო პრინციპების გულისთვის! დროა ჩვენს ქვეყანაშიაც ისე დაუახლოვდეს პოლიტიკა კულტურას, როგორც ყველგან, სადაც ეს ხალხი ძლიერია და იმედიანად შეჰყურებს თავის მომავალს.

ქალაქის ხმოსნების არჩევნების გამო

დღეს იწყება არჩევნები ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნებისა. არჩევნები იმავ კანონებით მოხდება, რომელიც 1890 წლის საქალაქო დებულებამ შემოიღო, და საბჭოს მომავალი მოქმედება ისევ იმ ფარგალში იქნება ჩაყენებული, როგორც წინა, შავბნელ რეაქციის, წლებში იყო. გაცრუდა საზოგადოებისა და ხალხის იმედები, რომელიც უკანასკნელ ორ წელიწადში დაიბადა. ეს ასრულდა მოლოდინი, რომ ადგილობრივი თვითმართველობა მაინც იქნება განახლებულიო. ყველაფერი ძველებურად რჩება და ჩვენმა ქალაქმაც ძველებურად თავისი სვე-ბედი შეძლებულ უმცირესობის წარმომადგენელთ უნდა ჩააბარებს.

რას წარმოადგენს აწინდელი რუსეთის ადგილობრივი თვითმართველობა, ყველამ კარგად იცის: უსიცოცხლო, უძლური, უუფლებო დაწესებულება, რომელიც სრულიად დაიმორჩილა ადმინისტრაციამ. ჩაკლებული ხალხის თანაგრძნობას, ხალხის კანტროლს, ბოლიციისაგანაც კი ებუჩად აგდებული, იგი სასირცხოდ მიანჩალებს უფერულ სიცოცხლეს და თუ ვისმეს რამეში გამოადგა, ისევ პრიკლადგიურს უმცირესობას. თუ შიდა რუსეთში ვხედავთ კიდევ თვალსაჩინო კულტურულ ნაყოფს ადგილობრივ თვითმართველობის მოღვაწეობისას, ეს ღვაწლი ეკუთვნის 1864 წლის ერობასა და 1870 წლის საქალაქო თვითმართველობას, რომელნიც უფრო ლიბერალურ პრინციპებზე იყვნენ აგებულნი. დ. ტოლსტოისა და დურნოვოს მიერ გადაკეთებულმა მე-90 წლების თვითმართველობამ კი ვნების მეტი არაფერი არ მოუტანა რუსეთს. ეს ვნება ნაკლები იყო წინად, რადგან რეაქციონური ელემენტები სრულის ინდიფერენტიზმით იყვნენ ჩამსჭვალულნი ადგილობრივ თვითმართველობისადმი; ახლა კი, როცა რევოლიუციამ გამოაღვიძა და შეაკავშირა რეაქციონერებიც, ადგილობრივი თვითმართველობა თან და თან მათ ხელში გადადის და აწ არსებულის კანონების ვნება გაორკეცდება. აღესის, ხარკოვის, კიევის, სარატოვის საქალაქო მმართველობათა და მოსკოვის, ტულის და სხვა საერობო მმართველობათა დღევანდელი მოღვაწეობა ნათლად გვიმტკიცებს, რა მიმართულებას მიიღებს ახლო მომავალში ადგილობრივი თვითმართველობა:

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

* * *

ვაგლახ, ერო გაუწრთვნელო,
სინამდვილევ ცხადზედ ცხადო!
ვაგლახ, ტანჯულ ხალხის შვილო,
და დრო-ჟამო ცვალებადო!

—

რაც წილად გვხვდა, თავს გადაგვხვდა,
ბევრი იყო,—ცოტა რამა,
მალი მალა შეგვეცვალა
ჩვენ ცხოვრების პანორამა.

—

ვინც იწამა, წამით წამა,
დღეს უარჰყო გუშინ თქჭული
და ჯვარს აცვა გოლგოთაზე
თვით ერთობის მოციქული!

—

დატანჯულმა, დაჩაგრულმა
და მოხრილმა ოთხად წელში
გზის მკაფველი, გამწალდველი
მტარვალს მისცა თვითვე ხელში!..

—

არ თუ ცნობით, ქვენა გრძნობით
აღზრდილიყო მონობაში
და, რიჟრაჟზე გამოსული,
ცუნდრუკებდა, როგორც ბავში!

—

ხოლო როცა შორ-ახლოცა
ნწუხრის ბინდმა მოატანა,
თავგის სოროს საძებნელად
ქუდ მოგლეჯით გაექანა!..

—

ოროშვაოროშვით, თეთრი დროშით
ს[illegible]ითს დაუხვდა მუხლ-მოყრილი
აღნიშნული დაწესებულებანი უკვე ჩაიგდეს ხელში შავრაზმელებმა და კიდეც შეუდგნენ იმ კულტურულ ნაყოფის განადგურებას, რომელიც სამოციან წლების თვითმართველობამ დაუტოვა რუსეთს...

ჩვენში ამის შიში არ არის, მართალია; ჩვენში რეაქციონული ელემენტები ისე არ დარაზმულან, როგორც რუსეთში და საქალაქო თვითმართველობას ეგრე რიგად ხელში ვერ ჩაიგდებენ; მაგრამ სანუგეშო აქ ბევრი არაფერია: ხალხი და უფრო დემოკრატიული განათლებული ნაწილი საზოგადოებისა მაინც დაშორებული დარჩება, ხოლო თითო-ოროლა პროგრესიულ მიმართულების ხმოსანი ვერაფერს ვერ გააწყობს; მთავარი ხელმძღვანელი საქალაქო მმართველობისა მაინც შეძლებული ბურჟუაზია იქნება და მუნიციპალური ცხოვრებაც წინანდებურად უფერული და ცალმხრივი.

ამიტომ ვხედავთ, რომ მოახლოვებული არჩევნები ტფილისის ხმოსნებისა ხალხისა და საზოგადოების ფართო წრეებს მაინცა და მაინც არ აინტერესებს; საზოგადოება გულგრილად უყურებს არჩევნებს, რადგან იცის, რომ სულერთია—მომავალ თვითმართველობას არაფერი არ ეშველება, სანამ ძირითადათ არ შეირყევა ის საფუძველი, რომელზედაც აშენებულია მისი კედლები. რუსეთშიაც და ჩვენშიაც დემოკრატიას სწამს, რომ ხანმოკლეა დღევანდელი ადგილობრივი თვითმართველობა რუსეთისა, რომ აუხაული წესწყობილება უნდა შეიცვალოს დროის შესაფერის დემოკრატიულის თვითმართველობით. სახელმწიფო სათათბიროც უპირველესს საგნად სახავს ამ საქმეს და ალბად მალე განახორციელებს კიდეც საერთო მოლოდინს.

მაგრამ, მიუხედავად ყველა ამისა, შეცდომა იქნება უფრო პროგრესიულმა ელემენტებმა, რომელთაც კი კანონიერებას აძლევს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისას, განზე დაიტიროს თავი: ყოველ შემთხვევაში მებრძოლი ელემენტი საჭიროა ახლანდელს თვითმართველობაშიაც...

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ

✦ **სეირნობა და ლატარია-ალეგრი.** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს 27 მაისს „პალერმოს“ ბაღში (მიხეილის ქ., იუნკერების სასწავლებლის პირდაპირ) გაიმართება სეირნობა და ლატარია „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. სეირნობა საინტერესო იქნება: დაუკრავს ერი ორკესტრი, საზანდარი, იმღერებს ქართული ხორო ბ-ნ კავსაძის ლოტბარობით; ლატარიაში ჩაგდებულია ორი სარკე, თითო 100 მანეთად დირებული, გრამოფონი (100 მან.), ასი საუნი მიწა ვერაზე, ოქროს სამაჯური და სხვა ძვირფასი ნივთები. იმედია, ყველა დახმარებას აღმოუჩენს „საზოგადოებას“.

✦ **არჩევნები ხმოსნებისა.** დღეს, 27 მაისს, მოხდება არჩევნები ტფ. საბჭოს ხმოსნებისა. არჩევნები მოხდება პირველ საარჩევნო ნაწილში. არჩევნები დაიწყება დილის 10 საათზედ „ტიფ. სობრანიის„ საზაფხულო სადგომში, ეიხეილის პროსპექტზე.

✦ **თავად აზნაურთა კრება.** დღეს, 27 მაისს, ტფ. თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში მოხდება მორიგი კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა. სხვათა შორის კრება განიხილავს ხარჯთ-აღრიცხვას, აგრეთვე მოხსენებას განსაკუთრებულ კომისიისა აგრარულ საკითხის შესახებ და სხვ.

✦ **სასადილოს დაკეტვა.** როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ტფილისში ბევრია უადგილოდ დარჩენილი. ბევრს ლუკმა პური უჭირს. ერთად ერთი იაფი სასადილო იყო ნაძალადევში, სადაც 200 ლარიბი კაცი იკვებებოდა. ამას წინად ნაძალადევში მოროზოვის მოკვლის შემდეგ პოლიციამ დაჰკეტა ეს სასადილო.

✦ **მკვლელობანი.** 24 მაისს, საღამოს 9½ საათზედ, კახეთის ქუჩაზე ეტლით სადღაც მიდიოდა ტაკინის გზის ბუჰგალტერი დიმიტრი დიმიტრიევი. ვიღაცამ რევოლვერი ესროლა და სასიკვდილოდ დასჭრა. დაჭრილი დიმიტრიევი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ გარდაიცვალა. მკვლელი მიმალა.

24 მაისს, საღამოს 8 საათზედ, ვორონცოვის ქუჩაზე ვიღაც უცნობმა მოჰკლა ტფ. მოქალაქე გიული [illegible]ად-უგურლი.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** ზუბალაშვილის სახალხო სახლში დღეს, 27 მაისს, ა. აბელიანი წაიკითხავს ლექციას სომხურად: „სახალხო მეურნეობა“. ლექცია დაიწყება 11 საათზე. კონცერტი კი, დანიშნული დღეისთვის, სხვა და სხვა მიზეზისა გამო არ გაიმართება.

✦ **ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებანი.** ტფილისის გუბერნიიდან იგზავნებიან: ვას. ათაბეგოვი, გრ. აირაპეტოვი, ოგ. როსტომოვი, ვ. ოკინოვი, პავლე, მიხეილ და პეტრე შვეცოვები და პ. ბოგდანოვი.

✦ **ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი.** პეტერბურგიდან დეპეშით გვატყობინებენ: „ქუთაისის სათავადაზნ. საადგილ-მამულო ბანკის შუამდგომლობა ფინანსთა მინისტრმა გარდაეცა კავკასიის ნამესტნიკს. ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ (დანიშნული) ბ-ნ მელნიკოვმა თხოვნა შეიტანა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.“

✦ **ახალი სომხური გაზეთი.** დღეს გამოვიდა სომხურს ენაზე ახალი გაზეთი „ჟაირ“ (კლდე) ს. გალიჩიანის რედაქ-

---

და მონურად, ბატონ-ყმურად
მაგება „პურ-მარილი“.

—

დაუფიცა, მსხვერპლი მისცა,
შვილი მასვე ანაცვალა
და დღეს თავსა მით იმართლებს,
რომ ალმართს ხნავს დიდი ძალა.

—

გაქრა სიტყვა! ალარც რწმენა,
ალარც სული ვეკაცური!
ქარსა გაჰყვა ქარისავე
ნაგლეჯი და ნატაცური.

—

ვაი, გულო, მით მოკლულო,
მოგონებავ მწარზე მწარო,
ასეთ წარსულს მომავალი
როგორ უნდა დავამყარო?!.

—

მაგრამ არა!.. ხმა ჩამესმის:
„შენ ტყუვდები ყველა ამით,
შებოჭილხარ გუშინდელის
მოგონებით, მწარ გულის თქმით!..

—

ტანჯვასა და წამებაში
ხალხი გრდემლად გადიქცევა
და მის გულში, წამებულში,
გაღვივდება შურის ძევა.

—

დღეს ტანჯული, დაქანცული
გულში იკლავს უხმოდ ნაღველს,
არ ძრავს ენას და ზრდის რწმენას
ნეტარების გამომსახველს.

—

დაჭკრავს ჟამი, ცრემლ ნაწამი
შეითვისებს ახალ მცნებას
და დააღწევს სამუდამოდ
ტანჯვასა ბოროტებით.

✦ **პროფ. მარრის მოხსენებები.** 28 მაისს, საღამოს შვიდ საათზე, ტფ. საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში მოხდება კრება მოსკოვის საარხელოგიო საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა. პროფესორი ნ. ი. მარრი წაიკითხავს ორ მოხსენებას: „იოანნე პეტრიწონელი, ქართველი ნეოპლატონიკი XI—XII საუკუნისა“ და „ცხოვრება რგიგოლ ჩანძთელისა, ქართველთ ეკლესიის მოღვაწისა მე-VIII—IX საუკუნეებში“.

შეცდომის გასწორება. „ისრის“ მე-111 ნომერში (24 მაისი) დაიბეჭდა წერილი „ბასუსად კრიშას“. ქვეშ ამ წერილს შეცდომით ეწერა „შეხი“. უნდა იყოს: „ნოე ად. ყენტი“.

ᲰᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

დაკარგული „ბიუროკრატი“

სანაძლეოს დავდებ მკითხველთან, რომ იგი დღეს მთავრობის მოხელეს, ეგრედწოდებულ ბიუროკრატს ვერსად ვერ აღმოაჩენს. ყველა განურჩევლად, ბიუროკრატი და არა ბიუროკრატი, მწარედ ლანძღავს ბიუროკრატებს და, სწორე მოგახსენოთ, ბევრჯელ მიტეხია თავი იმის აღმოსაჩენად, თუ სად არის ის უბადრუკი, თვალთათვის უჩინარი გვამი, რომელსაც ყველა, ერი და ბერი, ასე გაცხარებით ლანძღავს.

აქ რაღაც უცნაური ოინია, რომლის ახსნა მხოლოდ შემდეგის გზით შეიძლება ჩემის აზრით. სახელმწიფო ძანქანა, მთელ ამ ვეება სახელმწიფოში ვრცლად კლანჭებ-განრტყმულ სხვა-და-სხვა უწყებათა მექანიზმი ხალხს აწევს კისერზე და იმის სიხსლს, ცხოვრების სახსარს სწოვს. თითოეული მოხელე—„ჩინოვნიკი“, რომელიც თავის პაწია ქაღალდს სჩხრეკავს თავის უწყების რომელსამე ხავს-მოკიდებულ განყოფილებაში მაგიდასთან მიმჯდარი, უეჭველია ამ ვეება ძანქანის პაწია ჩარხი, ერთი მცირე ნაწილაკი, რომელსაც არ ძალუძს მთელი ბანქანის შეჩერება და მხოლოდ იმ ქაღალდს ღეჭს, რომელსაც ძანქანის უმაღლესი ნაწილები, დიდი „ჩინოვნიკები“ გადმოუგდებენ საღეჭად. იმას არაფერი ძალა არა აქვს, არაფერი არ შეუძლია თავის თავად, ყოვლად უმნიშვნელო და პაწია არსებაა. სახელმწიფო წეს-წყობილებაში რაც უნდა ილიბერალოს, რაც უნდა ხალხის მომხრედ გვაჩვენოს იმან თავი, რაც უნდა იფხაკუროს და ლიბერალურ კილოზე ირაკრაკოს, ბოლოს-და ბოლოს იგი უეჭველად მხოლოდ „ჩინოვნიკი“, ბიუროკრატია, რომელიც სხვის ნებას ასრულებს და თავის უფროს-უმცროს ბიუროკრატებთან ერთად ხალხს კისერზე აზის.

როსის ადიუტანტის დახმარებით წინასწარ გამოძიებას ახდენს; ყუმბარას ორი გოროდოვოი იცავს, საპარადო კარებთან სდგანან და არ უშვებენ არც სახლში შემსვლელს და არც გამომსვლელს. მხოლოდ არ იციან, როგორ გასინჯონ ყუმბარა, და ამაზედ თათბირობენ...

— ეგ კი მართლა და ძნელია!

— მოხსენება მზად გახლავთ, თქვენო აღმატებულებავ!—გააწყვეტინა ლაპარაკი პოლიციის უფროსმა და გადასცა ქაღალდი...

— კარგი, მადლობელი... აქ ისა სწერია, რაც თქვენ უკვე მიამბეთ?

— დიახ, ყველაფერი, თქვენო აღმატებულებავ!..

— ძალიან კარგი. აბა ეხლა თქვენ გასწით ახალ განკარგულებების მოსახდენად... მცველები გააძლიერეთ, უსაუოდ ხვალ შემოვიღებთ გაძლიერებულ დაცვის წესებს... აი მხოლოდ ეს არის: იმ ყუმბარას რა უყოთ? მართლაც და სახიფათოა მისი ხელის ხლება...

— თუ გნებავთ, გამოვიწვევ ცეცხლის მქრობელ რაზმს?—ჰკითხა პოლიციის უფროსმა.

— რაზმი? რა გგონიათ, კარგი იქნება.. ეგ იმ შემთხვევისთვის, თუ ვინიცობაა აფეთქდა...

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ, შეიძლება გაჩნდეს ცეცხლი.

— რასაკვირველია, რასაკვირველია..

— განა ჩვენ არავიცარი რჩევა არა გვაქვს ყუმბარების შესახებ?

— არაფერი გვაქვს, თქვენო აღმატებულებავ...

ამიტომ, მკითხველო, როცა რომელსამე ნაცნობ „ჩინოვნიკს“ შეხვდები გზაში, რომელიც ბიუროკრატების ლანძღვას დაგიწყებს, ეკითხეთ ... [illegible] არ დაიჯერო ამის სიტყვები. [illegible] ხედო და მთავრობის [illegible] დაკრულ კოკარდას ყურადღება მიაქციო. ეს კოკარდა მოწმობს, რომ შენ თვალწინ მთავრობის მოსამსახურე, იმისი ერგული „ბიუროკრატი“ დგას.

ინგლისში სავალდებულო სამხედრო ბეგარა არ არსებობს. ვისაც სურს, თავის ნებით შედის ჯარში, და სალდათობას კისრულობს. მთავრობას დაქირავებული ჰყავს მრავალი აგენტი, რომელნიც ყველგან დაძრწიან—ქალაქის ლუდხანებსა და სამიკიტნოებში, ეცნობიან იქ ხალხს, ატყუებენ ათასნაირი დაპირებით, ამა თუ იმ პოლკის ქება დიდებით ყურებს გამოუჭედენ მათ კლანჭებში ჩავარდნილ უბადრუკ სულდგმულს, მსუქან ჯამაგირს ჰპირდებიან, ბოლოს და ბოლოს დაიყოლიებენ, პირობას ჩამოართმევენ და თანხმობის ნიშნად ხელში აძლევენ ვერცხლის აბაზიანის მგზავს პატარა ნიშანს, რომელიც ინგლისში ძველი დროიდან მთავრობის მიერ ხალხში ვერაგულად ჩანერგილ ჩვეულებისამებრ ფიცზე უფტიციესი საბუთია: იგი მოწმობს, რომ ამ პაწია ვერცხლის ნიშნის ხელში მჭერი ადამიანი — მთავრობის კაცია, ამ მთავრობის ინტერესების დასაცველად მოწოდებული „სალდათია“.

სწორედ ამ გვარად ყველა „ჩინოვნიკის“ ქუდზე დაკრული კოკარდა, რაც უნდა უარჰყოს ეს იმისმა პატრონმა, მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ნიშან-დაწებებული ადამიანიც მთავრობის კაცია, იმის ინტერესების დასაცველად არჩეული მსახური.

ი. ნაკაშიძე.

სათათბირო და საბჭო

(საგენტოს დეპეშები)

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს სხდომა 30 მაისის მოხდება. სათათბიროს საგანი—განხილვა კანონ-პროექტისა ხალხის გამოსაკვებად გადადებულ ფულის შესახებ და განგრძობა ბჭობისა სენატის რეფორმის პროექტის შესახებ.

ნაკაზის კომისიამ დაამტკიცა შემდეგი წეს-რიგი იმ საქმეთა განხილველად, რომელნიც შეეხება სამართალში მიცემულ დეპუტატების მოშორებას: თვითეული საქმე, კენჭის ყრის შემდეგ, გადაეცემა განსახილველად ერთ-და-ერთ განყოფილებას. განყოფილება, მსჯავრ-დაუდებლად, წარუდგენს სათათბიროს უმცირესობისა და უმრავლესობის აზრს. უმცირესობის გვარებს არ გამოაცხადებენ. სათათბირო დახურულ კრებაზე განიხილავს ორსავე აზრს და საბოლოო მსჯავრს დას-

---

— რასაკვირველია! ჭეშმარიტად საკვირველია! ნეტა რას ფიქრობენ პეტერბურგში! რამდენი ხანია ყუმბარები გაჩნდა და ის კი არ ვიცით აქამდის, რა უყოთ...

— ქალაქის ექიმი რომ მოვიწვიოთ?

— ჰა, ჰა, ჰა, ექიმი აქ რა შუაშია?

— არ ვიცი, თქვენო აღმატებულებავ... მე ასე მგონია, რომ ექიმები სხვა და სხვა შედგენილობებს ამზადებენ... ან მეაფთიაქე..

— არა, არა, ეგ უფრო რეალურ სასწავლებლის ქიმიის ან ფიზიკის მასწავლებლის საქმეა...

— მიბრძანებთ დაუძახო?

— არა, სჯობიან სასამართლოს მოხელეებს უგდეთ ყური, იმათ იციან...

— მესმის, თქვენო აღმატებულებავ!..

პოლიციის უფროსი და ბოქაული გავიდნენ.

VI.

— თქვენ კი, გრიგორ ფილიპიჩ,—მიჰმართა გუბერნატორმა საგუბერნიო სამმართველოს წევრს:—ბარუემ მოიცადეთ მბრალმდებლისა და ყანდარმთა უფროსის მოსვლამდის:—მოვიდაპარაკოთ... მაშინ ვიცე-გუბერნატორიც უნდა მოვიწვიოთ... ეხ, რა დრო დადგა!

— ძალიან საშინელი!—დაეთანხმა ფორმალინი.

სიჩუმე ჩამოვარდა. სოვეტნიკმა და გუბერნატორმა თავები ჩაღუნეს და ოთახში სიარული დაიწყეს. შემოვიდა საგანგებო საქმეთა მოხელე და მოახსენა:

— თქვენო აღმატებულებავ! ბატონი პოლიციის უფროსი გიხმობთ პირადად

თავს სიზმარსა და [illegible]ნებას.

—

მანამდი კი, ხალხის შვილო,
მოითმინე ესეოდენ
და წარმოსთქვი იესოსებრ:
„არ იცოდნენ, რას იქმოდენ!..“

ვ. ოთმაშვილი.

პირველი „ყუმბარა“

(თარგანი)

(დასასრული*)

V

— მოხსენება!—მიჰმართა მას პოლიციის უფროსმა.

— მზად გახლავთ!—უპასუხა ბოქაულმა და მიართვა ქაღალდი უფროსს.

— ნება მიბოძეთ, თქვენო აღმატებულებავ, ჯერ მე გადავავლო თვალი და ხელი მოვაწერო.

— ძალიან კარგი, სიამოვნებით!—უპასუხა გუბერნატორმა და მიჰმართა ბოქაულს:—აბა თქვენ მანამდის მიამბეთ როგორ არის ამ ჟამად საქმე... მართლა, თქვენ პეტრ ვლადიმირიჩ, თავისუფალი ხართ: წადით და ყველაფერი შეასრულეთ:

— დაიბარეთ ბრალმდებელი, ჟანდარმთა უფროსი, შეადგინეთ ეპეშა, ქაღალდი და ბარემ გამოიწვიეთ [illegible]ლკის უფროსიც...

— მესმის! — უპასუხა კანცელიარიის მმართველმა და გავიდა.

— აბა ახლა მოიმიყვეთ!—ხელმეორედ მიუბრუნდა გუბერნატორი ბოქაულს.

— ამ ჟამად, თქვენო აღმატებულებავ, პოლიცია ოლქის სასამართლოს მბრალმდებლის ამხანაგისა და ჟანდარმთა უფ-

---

ტორობით.

✦ **პროფ. მარრის მოხსენებები.** 28 მაისს, საღამოს შვიდ საათზე, ტფ. საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში მოხდება კრება მოსკოვის საარხელოგიო საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა. პროფესორი ნ. ი. მარრი წაიკითხავს ორ მოხსენებას: „იოანნე პეტრიწონელი, ქართველი ნეოპლატონიკი XI—XII საუკუნისა“ და „ცხოვრება რგიგოლ ჩანძთელისა, ქართველთ ეკლესიის მოღვაწისა მე-VIII—IX საუკუნეებში“.

შეცდომის გასწორება. „ისრის“ მე-111 ნომერში (24 მაისი) დაიბეჭდა წერილი „ბასუსად კრიშას“. ქვეშ ამ წერილს შეცდომით ეწერა „შეხი“. უნდა იყოს: „ნოე ად. ყენტი“.

ᲰᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

დაკარგული „ბიუროკრატი“

სანაძლეოს დავდებ მკითხველთან, რომ იგი დღეს მთავრობის მოხელეს, ეგრედწოდებულ ბიუროკრატს ვერსად ვერ აღმოაჩენს. ყველა განურჩევლად, ბიუროკრატი და არა ბიუროკრატი, მწარედ ლანძღავს ბიუროკრატებს და, სწორე მოგახსენოთ, ბევრჯელ მიტეხია თავი იმის აღმოსაჩენად, თუ სად არის ის უბადრუკი, თვალთათვის უჩინარი გვამი, რომელსაც ყველა, ერი და ბერი, ასე გაცხარებით ლანძღავს.

აქ რაღაც უცნაური ოინია, რომლის ახსნა მხოლოდ შემდეგის გზით შეიძლება ჩემის აზრით. სახელმწიფო ძანქანა, მთელ ამ ვეება სახელმწიფოში ვრცლად კლანჭებ-განრტყმულ სხვა-და-სხვა უწყებათა მექანიზმი ხალხს აწევს კისერზე და იმის სიხსლს, ცხოვრების სახსარს სწოვს. თითოეული მოხელე—„ჩინოვნიკი“, რომელიც თავის პაწია ქაღალდს სჩხრეკავს თავის უწყების რომელსამე ხავს-მოკიდებულ განყოფილებაში მაგიდასთან მიმჯდარი, უეჭველია ამ ვეება ძანქანის პაწია ჩარხი, ერთი მცირე ნაწილაკი, რომელსაც არ ძალუძს მთელი ბანქანის შეჩერება და მხოლოდ იმ ქაღალდს ღეჭს, რომელსაც ძანქანის უმაღლესი ნაწილები, დიდი „ჩინოვნიკები“ გადმოუგდებენ საღეჭად. იმას არაფერი ძალა არა აქვს, არაფერი არ შეუძლია თავის თავად, ყოვლად უმნიშვნელო და პაწია არსებაა. სახელმწიფო წეს-წყობილებაში რაც უნდა ილიბერალოს, რაც უნდა ხალხის მომხრედ გვაჩვენოს იმან თავი, რაც უნდა იფხაკუროს და ლიბერალურ კილოზე ირაკრაკოს, ბოლოს-და ბოლოს იგი უეჭველად მხოლოდ „ჩინოვნიკი“, ბიუროკრატია, რომელიც სხვის ნებას ასრულებს და თავის უფროს-უმცროს ბიუროკრატებთან ერთად ხალხს კისერზე აზის.

— რასაკვირველია! ჭეშმარიტად საკვირველია! ნეტა რას ფიქრობენ პეტერბურგში! რამდენი ხანია ყუმბარები გაჩნდა და ის კი არ ვიცით აქამდის, რა უყოთ...

— ქალაქის ექიმი რომ მოვიწვიოთ?

— ჰა, ჰა, ჰა, ექიმი აქ რა შუაშია?

— არ ვიცი, თქვენო აღმატებულებავ... მე ასე მგონია, რომ ექიმები სხვა და სხვა შედგენილობებს ამზადებენ... ან მეაფთიაქე..

— არა, არა, ეგ უფრო რეალურ სასწავლებლის ქიმიის ან ფიზიკის მასწავლებლის საქმეა...

— მიბრძანებთ დაუძახო?

— არა, სჯობიან სასამართლოს მოხელეებს უგდეთ ყური, იმათ იციან...

— მესმის, თქვენო აღმატებულებავ!..

პოლიციის უფროსი და ბოქაული გავიდნენ.

VI.

— თქვენ კი, გრიგორ ფილიპიჩ,—მიჰმართა გუბერნატორმა საგუბერნიო სამმართველოს წევრს:—ბარუემ მოიცადეთ მბრალმდებლისა და ჟანდარმთა უფროსის მოსვლამდის:—მოვიდაპარაკოთ... მაშინ ვიცე-გუბერნატორიც უნდა მოვიწვიოთ... ეხ, რა დრო დადგა!

— ძალიან საშინელი!—დაეთანხმა ფორმალინი.

სიჩუმე ჩამოვარდა. სოვეტნიკმა და გუბერნატორმა თავები ჩაღუნეს და ოთახში სიარული დაიწყეს. შემოვიდა საგანგებო საქმეთა მოხელე და მოახსენა:

— თქვენო აღმატებულებავ! ბატონი პოლიციის უფროსი გიხმობთ პირადად

თაისიდან ტყიბულაში, უჩვენებიათ, რომ ამ მატარებელში ჩასხდნენ უცნობი შეიარაღებულნი პირნი და მათ შორის რემონტის მუშა ალექსანდრე ჭრელაშვილი, რომელიც შეიარაღებული იყო.

ზემოხსენებულ პირთ ჭბრალდებათ ის, რომ მათ სხვა პირებთან შეთანხმებით მონაწილეობა მიიღეს ბესარაბიის პოლკის ჯარის კაცთა თავდასხმაში და თოფისა და რევოლვერის სროლით და ყუმბარის აფეთქებით ორი სალდათი მოჰკლეს და ორი დასჭრეს.

წერილი რედაქციის მიმართ

1907 წელს მაისს თვრამეტსა დღესა ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერთ, გორის მაზრის სოფელ ზემო ნიქოზში მცხოვრებმა, გლეხებმა, ვიქონიეთ მსჯელობა და ერთხმად დავადგინეთ ხელშეკრულობით შემდეგი: ჩვენ სასოფლოდ გვქონდა დადებული ყოველ წლივ დღეობა—ამაღლება.ამ საუფლო დღეს გარდა იმისა, რომ მთელს სოფელს არა ნაკლებ ას-ოც თუმანი ზარალი ჰქონდა ხალხის გამასპინძლებით, ხდებოდა ყოველივე უსიამოვნება—ცემა-ტყეპა კეტებით, იარაღით დაჭრა და მკვლელობაც. ამიტომ გადავსწყვიტეთ: არა ოჯახმა არ გასწიოს ხარჯი და არც სტუმარი მიიპატიჟოს, თუ გინდ თავის ნათესავიც იყოს და არც ნაცნობი. იმ დღეს დასახარჯი ფული უნდა შეგროვდეს და მოვისყიდოთ ჩვენს ახლო მდებარე საძოვარი მინდორი, რადგან ჩვენში ძლიერ სივიწროვეა საძოვრისა და ყოველ-წლივ იჯარას საძოვრისას აძლევთ არა ნაკლებ ექვსის თუმნისა. ვინც ამ პირობას არ შეასრულებს, იმას გადახდეს 20 მანეთი სოფლის სასარგებლოდ, რაზედაც ხელს ვაწერთ ზემო-ნიქოზში მცხოვრებნი გლეხნი.

ხელს აწერს77 კაცი.

გაზ. „ისრის“ მე-110 ნომერში მოთავსებული იყო წერილი პეტრესი, რომელიც ეხება ხალხის მიერ არჩეულ ბიუროს მოქმედებას მაკაროვის ადგილების ყიდვის შესახებ. იხსენიებს ბაგრატიონს, სიკო შერაძეს, იოსებ ხაჩიაურს, დარჩო და შაქრო სარაჯიშვილის მუშებს და სხვ. ამბობს, ვითომ ჯერ ხუთ-ხუთი მანეთი შეუტანია თვითო წევრს, შემდეგ კი თვეში ორ-ორი მანეთი. მართალია, პირველში უნდა შემოეტანათ ხუთ-ხუთი მანეთი, მაგრამ შემდეგ რაც დარჩებოდათ გადასახადი, ერთ წლამდის უნდა გადაეხადნათ, ესე იგი სამ ნაწილად, ყოველ ოთხ თვეში ერთხელ, რადგან მაკაროვთან პირობაც ესეთი გვქონდა. ეს შეუძლიანთ დაამტკიცონ თვითონ წევრებმა ამ ნაყიდ ადგილისა. როდესაც კენჭის ყრა იყო, ყოველივე ეს ბიუროს გადასცა წევრებს. მათაც თანხმობა განაცხადეს. ალბად ბ-ნ პეტრეს ან არ ახსოვს და ან არ დასწრებია იმ დროს. საიდან შეიძლებოდა ორ-ორი მანეთის გადახდა, როდესაც იმ ნაყიდ ადგილებს უთავდება გირავნობის ვადა ენკენისთვის პირველს ამა წელსა. ადგილი დაგირავებულია მელიქ კარაკოზოვთან თორმეტი ათას მანეთად. ათას ორასი მანეთიც სარგებელი, სულ ცამეტი ათას ორასი მანეთი უნდა ჩაბარებოდა, მაკაროვს კი ოთხი ათას ორასი მანეთი ცალკე. მეორე პეტრე ამბობს, რომ შემოგვიტიეს და ოც-ოც მანეთს გვახდევინებდნენ; ვინც ვერ შეიტანა, ჩამოართვეს და სხვებს გადასცესო. ესეც სიმართლეს მოკლებულია. ყველა არ იხდიდა ოც მანეთს. იხდიდა მხოლოდ პირველ ხარისხის ადგილების პატრონი. მეორესი იხდიდა თხუთმეტ მანეთს, მესამესი—თუმანს, ხოლო მეოთხესი—ხუთ მანეთს. რაც შეეხება იმას, რომ ვინც საადგომოდ არ შეიტანა, ჩამოართვეს და სხვებს გადასცესო, მაკვირვებს, რა ნაირად უნდა მომხდარიყო და ან ვის ჩამოართვეს? როდესაც მე ციხიდან გამოველი, აღდგომის მესამე დღე იყო და ფულის კრეფა ჯერ არ იყო გათავებული. ფულის კრეფამ გასტანა ათ მაისამდის. მაბრალებენ ფულის შეჭმას, როცა დაჭერილი ვიყავი. ეს ყველაფერი გამოიკვლევა მაშინ, როცა წევრების საერთო კრება მოხდება. კრებას წარედგინება ყოველივე ანგარიში. რაც შეეხება კრების მოწვევას, ეგ უიმისოდაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ, საუბედუროდ, შეგვიანდა, რადგან მელიქ კარაკოზოვთან ჯერ არ იყო გათავებული საქმე და ეხლა ამ სამ დღეში თავდება. ამის შემდეგ კრებაც იქნება მოწვეული და ყოველივე ხარჯიც გამოკვლეული.

ბაგრატიონი.

დეპეშა

(ჰეტერბურგის დეპეშათა საგენტოსაგან)

26 მაისი

ჰონკონგი. ქალაქ ხუტჩივის ბაზარი 200 ყაჩაღმა გაძარცვა. შმიხოუ და ვიზგლიკი მეამბოხეთა ხელშია. ჩეუნდაოშანის ოლქშიაც აჯანყებაა. ვეიხიუეს ჯარი იცავს.

ნოვოჩერკასი. ალექსანდროვსკის და ერუშევსკის პოლიციმეისტერი კოლპიკოვი ორის ტყვიით დასჭრეს.

ლოძი. ვიმევის ქუჩაზე მოჰკლეს ერთი მუშა.

მინსკი. მემამულემ ლავრენტიევმა გლეხებს სადაო მიწა მოუგო. გლეხებმა მიწის ძალით მოხვნა განიზრახეს. ამაზე სტრაჟნიკებსა და გლეხებს შორის შეტაკება მოხდა. მოკლულია სამი კაცი და დაჭრილია ორი.

კავკავი. სოფ. ბოზორკინის ინგუშები ოლგინსკელ ოსებს დაეცნენ. მოკლულია 9 ინგუში და 7 ოსი. დაჭრილია 40 ინგუში და 10-ზე მეტი ოსი. ოლგინსკაში აკლებულია მთელი უბანი. დაიწვა 3 სახლი.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. მაკდონალდმა იკითხა; რუსის მთავრობასთან მოლაპარაკების დროს ჩვენი მთავრობა ანგარიშს გაუწევს თუ არა ინგლისის შეკავშირებულ მუშების ლიბერალურ გრძნობას, რომელსაც ისინი იჩენენ რუსის მთავრობის მიერ დაჩაგრულ ხალხის მიმართაო. სტატ-სეკრეტრის ამხანაგმა გრეიმ უპასუხა: შეუძლებელია, რომ ინგლისის მთავრობამ რუსეთთან საზღვრების შესახებ მოლაპარაკების დროს რუსეთის შინაური საქმეები სახეში მიიღოსო.

ბორდო. სენ-ნაზარის, აგდის, შერბურგის და ნანტის მეზღვაურები მარსელის ამხანაგებს შეუერთდნენ და გაფიცვა გამოაცხადეს. ტულონსა და დიუნკირსენში გაფიცვა გრძელდება.

ლოძი. სადებაგ ქარხნების პატრონებმა, მიუხედავად მუშების მუქარისა—გაფიცებითო, დაადგინეს, არ დაუთმონ მუშებს და ლოკაუტი მოახდინონ.

ბერლინი. ბერლინიდან იუწყებიან, რომ შვეიცარიის პრესა ძლიერ გულ ნატკენია; სწერს, რომ რუსების მოქმედების მზგავსი ჯერ არ გაგონილა. ეს შვეიცარიის უფლებრივ წეს-რიგის დარღვევაო. პრესა ერთხმად თხოულობს, რომ რუს. რევოლიუციონერებმა უსათუოდ დასტოვონ შვეიცარიის საზღვრებიო. ზოგიერთი გაზეთები ყველა საეჭვო უცხოელების გაძევებას თხოულობენ.

ლონდონი. როგორც „მორანგ-პოსტ“-ს ჩინეთიდან ატყობინებენ, სი-ჩუანის პროვინციაში ბრბოს სამისიონერო სადგური დაუწვავს.

შანჰაი. გაისინის ამბოხების მიზეზი ოპიუმო ვაჭრობის აღვრძალვაა.

ტოკიო. სესშის მადნებში არეულობა უფრო ძლიერია, ვიდრე ეგონათ. შრომასა და კაპიტალს შორის ურთი-ერთობა მწვავდება. მასულიდან მოსულ ცნობით, მდგომარეობა სერიოზულია, ტელეგრაფის მავთული გადაჭრილია. 1000 მდე გაფიცული აშკარად სარგებლობენ დინამიტით და იარადით. ტელეფონის სადგური დანგრეულია. ადგილობრივი მოხელე ცოცხლად დასწვეს. იუწყებიან, რომ გაფიცულები შიოს მახლობელ მაღარეების დანგრევას აპირობენო. ჯარი გაგზავნეს.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. სტატს-სეკრეტარმა მორლეიმ განაცხადა, რომ ბენჯაბის ამბოხებას პოლიტიკური ხასიათი აქვს და არა ეკონომიურიო. დაპატიმრებული აგიტატორები უმთავრეს ყურადღებას აქცევდენ სინხის ხალხს და საათადარიგო ჯარის კაცებს, რადგან სურდათ მათი გადაბირება. აგიტატორები ჭორებს ავრცელებდნენ, ვითომ შავი ჭირი მარტო ადგილობრივ მკვიდრებზე მოქმედებს, რადგან მთავრობას აქვს ერთნაირი წამალი, რომლის შემწეობით ებს წამლავს და ჭირს ავრცელებსო. მორლეიმ გაამართლა აგიტატორების გადასახლება სამართლს განურჩევლად. ეს პირები ქვეყნისათვის წამებულის როლს თამაშობდნენო. ბოლოს მორლეიმ სთქვა, ასე რომ არ მოვქცეულიყავ, ქვეყნის წინაშე დამნაშავე ვიქნებოდიო.

ნარვა. ხელის მრთავ ფაბრიკის მუშებმა დირექტორ ბელტრეცას ძლიერ სცემეს, მერე მდინარეში გადააგდეს, სადაც იგი დაიხრჩო. მისი გვამი ორი საათის შემდეგ იპოვნეს. მიზეზი ხელ-ფასის მომატებაზე უარის თქმაა.

ნოვგოროდი. მოსკოვიდან პეტერბურგამდე ავტომობილებით გაჯიბრებულთა შორის ნოვგოროდზე პირველმა გაიარა დიურენმა, რომელმაც მეორეს 1 საათითა და 25 წუთით გაასწრო.

ლოძი. დრეგნოვის ქუჩაზე ექვსი ტყვიით მოჰკლეს ქარხანაში მომუშავე ქალი ჩაიკოვსკისა, წინადდით მოკლულ მუშის სვეტლიუკინის დანიშნული. მკვლელობა პარტიულ ნიადაგზე მოხდა. პოზნანსკის მანუფაქტურის დირექტორისადმი მიმართულ ტერროის გამო დანარჩენებმა სამსახურს თავი დაანებეს და ეს დიდი მანუფაქტურა უსელმძღვანელოდ დარჩა. ამავე ტერროის გამო პატრონები დიდიხანია ბერლინში გადასახლდნენ. მექანიკურ განყოფილების დირექტორი ინჟენერი სტეფფელსონი ლოკაუტის მოხსნასა და ფაბრიკის გახსნის შემდეგ ისევ ლოძში დაბრუნდა. დირექტორები როზენტალი და რეისი მოჰკლეს. როზენტალის ძმამ, რომელიც დირექტორადვე იყო, ძმის მოკვლის შემდეგ სამუდამოდ დასტოვა ლოძი. სამდებრო განყოფილების უმთავრესმა დირექტორმა ინგლისელმა გორროკსმა და ხ. მოკოსმა ბელკობმა სამსახურს თავი დაანებეს და ლოძიდან მიდიან. დარჩა მხოლოდ ერთი დირექტორი შვეიცარიელი, რომელიც ამ ორის კვირის წინად დაამტკიცეს ამ თანამდებობაზე.

ირკუტსკი. მინუსინსკის მაზრაში გადაიწვა სამი სოფელი. დაიღუბა ოთხი კაცი, დიდ-ძალი ჭირნახული და საქონელი. მკვიდრნი დიდ გაჭირვებას განიცდიან.

კოზლოვი. ბოგოიავლენსკის სადგურზე სოფელ სარჩეკაში, გადაიწვა 120 სახლი, სადგურის დეპო და სახელოსნო, სადგურამდე კაყვანილი ტელეფონი წახდა.

ბომბეი. 24 მაისს ქალაქ კარჩაში საშინელი გრიგალი ამოვარდა. რამდენიმე გემი ნაბირზე გადაისროლა.

რედაქტორ-გამომცემელი
ივ. ი. მჭედლიშვილი

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

ექიმნი:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

კ. ზ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, ზინაგან და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

ზ. ვ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

ა. ზ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ვ. ი. ბოლიშვილი: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

ბ. ბ. ბარაბეტიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

ბ. ი. შჩერბანინა: 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

ვ. ი. გურგენოვი; 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ბ. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—81)

მხოლოდ იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა ამ თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი**. ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

კეფირი ო. კოროლნისა

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძიმეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

კუმისი

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ.

ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—18) პატივ. **ო. კოროლნა.**

პასუხად ერმილე კოპლატაძეს

გაზეთ „ისრის“ მე-104 ნომერში მოთავსებულია თქვენი წერილი, რომლითაც, სხვათა შორის, მიწვევთ სამედიატორო სამართალში. ვღებულობ რა თქვენ მიერ სამართალში გამოწვევას, გიცხადებთ, დაასახელეთ გაზეთის საშუალებით დრო და ალაგი სასამართლოს სხდომისა. ამასთან თქვენ მიერ დასახელებულ მედიატორეთაგან ერთს, სახელდობრ ბ. აბდუშელიშვილს, არ ვიცნობ, მაგრამ როგორც მას, ისე ბ. შალიკაშვილსა და ბ. გრიგოლ მახარაძეს სრულ ნდობას ვუცხადებ და თანახმაც ვიქნები მათის დადგენილებისა.

(1—110—1) **გირილე კოპლატაძე**

1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

საჭიროა

თანამშრომელნი ორისავე სქესისა

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფულ-მქსოველ მანქანებზე. რისმე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მხოლოდ მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

პირველი კავკას. ამხანაგობა

მსწრაფულ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: **Тифлисъ, Верійскій спускъ, д. 15, и 5.** (100—71—18)

საგაბაშვილდო-თხინვალის საგარეკოში სა ბურთალოს ახლოს ვერაზედ

იყიდება მიწები

25, 40, 60 და 80 კაპ. თითო ოთხკუთხი საჟენი ერთი წლის გადახდის ვადით ნაწილ-ნაწილად. მიწები კიდევაც დაყოფილია ნაკრებად და ბეის შემოტანისათანავე ჩაბარდება მყიდველს თავის ხვედრი მამული. მსურველთ შეუძლიანთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: სასახლის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურთა სახლი № 153 დ. მაჭავარიანს და ნ. გელოვანს 9—2 საათამდე და 5—7 საათამდე. (15—92—10)



კომისიონერი მიწათ-მოქმედების და ახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი

მ. ე. ფრიდონოვი

ტფილისი, სერგიევის ქუჩა, № 11.

ყოველ მსურველთ ვენახისა და ბაღების სამკურნალო წამლებს:

შაბიამანს ინგლისის საუკეთესო მარკისას; გოგირდს გაუმჯობესებულს საკუთარ საშუალებით; შესასხურებელს **ვერმორელის** სისტემისას; „ტოროპილებს“, საბერველებს, აგრეთვე ყოველგვარ იარაღს საბაღო და სასარდაფო მეურნეობისათვის, მაგალითად: ტუმბოებს, ფილტრებს, საქაჯავს, სეკატორებს, დანებს და სხვას.

შეიძლება დაკვეთა ხილის ხეებისა საკუთარ სანერგედან სადგურ **„სკრასნთან“**. ქართული კატალოგები მსურველთ სახლში ეგზავნებათ. განყოფილება **ქუთაისში „კოლსიდასთან“**. (50—751—42

ტფილისის კბილის საექიმო

სკოლა

ლ. ოტროეშხერისა

(შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებისა) ერევნის მოედანი (პუშკინის ქუჩის ხრიდან).

თხოვნების მიღება **ორისავე სქესისა. ვან დაიწყო.** სწავლის კურსი 2½ წელიწადი. შესასვლელად საჭიროა მოწმობა ექვსი კლასის გათავების შესახებ. მიღება პირველ, მესამე და მეექვსე სემესტრზე. (100—ბუხ.—7)

მხოლოდ 1 მ. 50 კ. ᲕᲧᲘᲓᲘ

და თითქმის მუქთად ვაძლევ!!!

ძალზე საინტერესოა! ვუგზავნი მსურველს ფას-დადებით ბაჟის გასტუმრებით და გამოგზავნით უბეოდ იმ წამსვე, რა წამსაც წერილს მივიღებთ, 10 ცალს იუმორიულ ფოტოგრაფიულ სურათს, მეტად საგულისხმო (პიკანტნი) შინაარსისა. 10 ცალის ფასი 1 მ. 50 კ. 20 ცალი—2 მ. 80 კ. ადრესი Y. Kaliski, Bruxelles rue de l'escalienr, 30. Бельгія.

ვინც ნარდად ბლომად იყიდის, 10%-ს დაუკლებთ. მიწერ-მოწერა რუსულს ან გერმანულს ენაზე.

(10—№ 16—10) (Метцль и К° № 15603)

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ახალგაზდა მწერალთა, მთარგმნელთა, წიგნების გამომცემელთა და მესტამბეთა საყურადღებოდ. ვკისრულობ ხელთ-ნაწერების შესწორებას, კორექტურას და გამოცემათა ხელ-მძღვანელობას, ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.

ადრესი: ტფილისი, თხინვალის ქუჩა, სახლი ტოროშელიძისა, № 12. **პირადად მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათიდან 10 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე**

(30—უ.—29) ია ეკაბაძე-ცინცაძე.

ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ

პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

შეკერილი, რანტიანი და ვინტებზე. მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი ყოველ ფასონისა.

რანტიანი: პარიზისა (მოგრძო) და ამერიკის ფასონებისა.

იყიდება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

რადგან ხშირად სხვები თავიანთ ცუდ საქონელს ჩვენად აღიარებენ, ფაბრიკა უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ მყიდველებს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და სახელმწიფო გერბს (არწივს)

ნარდათ შეკვეთილ ამ ფეხსაცმელს ამზადებს

სავაჭრო სახლი „ლეოპოლდ ნეიმელლერი“

ტელეფონი № 346, **ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ,** ერევნის მოედანი,

რომლის საწყობშიაც არის დიდი ძალი

ტყავის საქონელი რუსეთისა და საზღვარ-გარედ დამზადებული. (100—29)

სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.